

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

10.04.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №39

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 10 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

1.1 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ

მომხსენებელი: ი.ლაგვილავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

1.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ი.ლაგვილავა- საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

1.3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი: ი.ლაგვილავა- საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

1.4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ



მომხსენებელი: თ.ჯიქია- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

1.5. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ს.სორდია- საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

1.6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის №4 სასაფლაოს ნაწილისთვის (2000 კვ.მ.) პანთეონის სტატუსის მინიჭების თაობაზე

მომხსენებელი: ბ.ჭეუია- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

1.7. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

მომხსენებელი: ბ.ჭეუია- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

1.8. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ო.ქადარია-საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

1.9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მინი სპორტული მოედნისათვის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: თ.ფაცაცია- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

1.10. სხვადასხვა საკითხები

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



ბესიკ ჭეუია